

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალციხის რაიონი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ასტორია“
G E O R G I A
REGION OF AKHALTSIKHE
L.T.D. "ASTORIA"

№ 13

26.02.2018წ

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ შპს „ასტორია“, რომლის ძირითადი საქმიანობაა ასფალტო-ბეტონის, მძიმე ბეტონის და ქვიშა-ლორღის წარმოება, ფლობს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტს, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან(წერილი #785 21.02.2014წ).

საწარმოში დამონტჟებულია ასფალტო-ბეტონის დანადგარი DC-117-K, წარმადობით 36ტ/სთ-ში, ბეტონის ქარხანა , წარმადობა 30მ3/სთ და ქვის სამსხვრევ დამახარისხებელი საამქრო , წარმადობით 25მ3/სთ.

პროექტით ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ნორმები გაანგარიშებული გვქონდა 17000 ტ ასფალტზე, 10 000მ3 ბეტონზე, 40 000 მ3 ქვიშა/ხრემის გადამუშავებასა და წარმოებაზე, რაც თავის მხრივ საპროექტო სიმძლავრეებზე გაცილებით ნაკლებია.

გამომდინარე იქიდან , რომ ქვეყნაში ბიზნესგარემო გაუმჯობესებულია და მეტი სამუშაოებია ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ, გაჩნდა მეტი მოთხოვნილება ასფალტო-ბეტონზე, ბეტონზე და ქვიშა-ლორღზე.

ჩვენი მოქმედი საწარმოების სიმძლავრეები გვაძლევენ საშუალებას თავისუფლად დავაკმაყოფილოთ გაზრდილი მოთხოვნილება წარმოებულ პროდუქციაზე ტექნოლოგიების და ექსპლოატაციის პირობების შეუცვლელად.

დამატებით გაცნობებთ ჩვენი საწარმოების სიმძლავრეებს და ამ სიმძლავრეებისათვის საჭირო ნედლეულის დასახელებას და მოცულობას.

1. ქვის სამსხვრევ დამახარისხებელი ქარხანა-80 000 მ3 ქვიშა/ხრემის გადამუშავება (სტეპლი მეთოდი)



2. ბეტონის წარმოება -20 000 მ3 ბეტონი, რისთვისაც საჭიროა 800 ტ ცემენტი, ქვიშა 14 880მ3, ღორღი 1280 მ3,

3. ასფალტის ქარხანა- 40 000 ტ ასფალტი, რისთვისაც საჭიროა ბიტუმი 2235 ტ ,მაზუთი 520ტ, ქვიშა 15294ტ, ღორღი 19530ტ, 2940 მინერალური ფხვნილი.

ვინაიდან 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი -„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ .აღნიშნული კოდექსის მეორე თავის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად გთხოვთ ჩემს ორგანიზაციას ჩაუტაროთ სკრინინგის პროცედურები ზემოთაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით.

პატივისცემით

შ.პ.ს „ასტორია“-ს დირექტორი



/მ. მანველიშვილი/